სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080112337208821

№ 2846

09 / სექტემბერი /
2021 წ.

ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2021 წლის 9 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT210016785, NAT210016971, NAT210015843, NAT210016722, NAT210016397, NAT210016573, NAT210015914, NAT210016845, NAT210016947, NAT210016951, NAT210016000, NAT210016945, NAT210016578 და NAT210016690 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო SPA210002360 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა და ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. ააიპ „ქობულეთის გამწვანებამ“ (NAT210016785), სსიპ „გარემოს ეროვნულმა სააგენტომ“ (NAT210016971), ქედის მუნიციპალიტეტმა (NAT210015843), ააიპ „ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ“ (NAT210016722), სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT210016397), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (NAT210016573 და NAT210016578), შუახევის მუნიციპალიტეტმა (NAT210015914), საქართველოს პარლამენტის აპარატმა (NAT210016845), ააიპ „საფეხბურთო კლუბი ბორჯომი 2013“-მა (NAT210016947), ააიპ „ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ“ (NAT210016951), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (NAT210016000), შპს „ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრმა“ (NAT210016945), ბოლნისის მუნიციპალიტეტმა (NAT210016690) და სსიპ „ეროვნულმა სატყეო სააგენტომ“ (SPA210002360) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპირებულია